თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2021 წლის 14 დეკემბერი

ქ. თერჯოლა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.დ“ და ,,დ.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 120-ე და 121-ე მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 მუხლის მეორე პუნქტის, მე-15 მუხლის, მე-19 მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

განისაზღვროს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა სარგოები, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგები, თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №16 დადგენილება (www.matsne.gov.ge, ვებგვერდი, 29/01/2019, სარეგისტრაციო კოდი 010320010.35.126.016258)

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **გიორგი ბარათაშვილი**

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

N		
	თანამდებობის დასახელება	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**
1	**საკრებულოს თავმჯდომარე**	4510
2	**საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე**	3410
3	**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (2)**	2970
4	**საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე (5)**	2420
5	**საკრებულო ფრაქციის თავმჯდომარე (3)**	2200
6	**საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე (8)**	1760

	სულ	40040

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

N	პროფესიული საჯარო მოხელე	შტატის ოდენობა	რანგი	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	აპარატის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	I	**2200**
2	საქმის წარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი -მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	II	1900
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	III	1430
4	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	III	1430
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში	1	III	1210
6	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	III	1210
7	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო და საარქივო საკითხებში	1	III	1210
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში	1	III	1210
9	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	IV	1100
	სულ	9		12900